

პოლონეთი რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის სამღვარზე ღობეს აღმართავს



პოლონეთის მთავრობა ქვეყნის აღმოსავლეთის სამღვარზე ღობის აღმართავს გეგმავს. აღნიშნული ზომა ე.წ. აფრიკური შავი ჭირისგან დასაცავად უნდა მიიღონ. ინფორმაციას პორტალი Agropolska ავრცელებს.

ამჟამად პოლონეთის სეიმში შესაბამისი კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობს. მშენებლობა მიმდინარე წელს უნდა დაიწყოს და 2020 წლისთვის დასრულდეს. წინასწარი გათვლით, პროექტის ღირებულება \$32 ათასს შეადგენს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ მოთუთიებული ბადესგან დამზადებული ღობის სიმაღლე 2 მ, სიგრძე კი 1173 კმ იქნება. აფრიკური შავი ჭირის ვურუსმა პოლონეთში 2014 წელს შემოაღწია, მას შემდეგ ზოლოდებმა 1,5 ათასამდე დაავადებული ტახი აღმოაჩინეს.

ღობე რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის სამღვარზე გავა. ზოგიერთ პოლონედ ექსპერტს მიაჩნია, რომ აღნიშნული ზომა აფრიკური ჭირის ვირუსთან ბრძოლაში არაეფექტური იქნება, რადგან ვირუსი უკვე ტრიალებს ქვეყნის ტერიტორიაზე.